№ 66
პარასკევი, 24 მარტი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 66
პარასკევი, 24 მარტი, 1900 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

**ტ**ფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,

წესდების მე-91 §-ის ძალით, ამით უწყებს ბ-ნთ ბანკის რწმუნებულთ, რომ ამა 1900 წლის 26 აპრილს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება. კრება მოხდება ტფილისში, ბანკის სადგომში. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი მოხსენებანი:

1, ბანკის 1899 სამოქმედო წლის ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება ბანკის გამგეობისა.

2, ბანკის ამა მიმდინარე წლის ხარჯ-აღრიცხვა.

3, მოხსენება საზოგადო საჭიროებისათვის თანხის განაწილების შესახებ.

4, მოხსენება სასოფლო-სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ.

5, მოხსენება ბანკის დამფასებელ კომისიის წევრთა გამრავლების შესახებ და ამასთანავე დაკავშირებულ მათის ჯამაგირის რაოდენობის შეცვლისა გამო.

6, მოხსენება ბანკის 25 წლის მოღვაწეობის სახსოვარ-საყოფელად მის მოხელე-მოსამსახურეთა დაჯილდოვების გამო.

7, მოხსენება კრედიტის გაიაფების თაობაზედ.

8, მოხსენება წესდების ზოგიერთ §-ის შეცვლის გამო, იმ აზრისამებრ, რომ ბანკს უფლება მიეცეს მის მიერვე გამოცემული გირავნობის ფურცლები ბირჟაზედ შეისყიდოს თავის გასასტუმრებელ თანხის ხარჯით.

9, მოხსენება ბანკის ბაქოს სააგენტოს შესახებ.

ამას გარდა რწმუნებულთა კრებამ უნდა ამოირჩიოს ზედამხედველ კომიტეტის ყველა წევრნი, აწინდელთა ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, გამგეობის თავმჯდომარე, თავ. ი. გ. ჭავჭავაძის ნაცვლად, და წევრი (თავმჯდომარე) დამფასებელ კომისიისა, კ. ლ. ფურცელაძის ნაცვლად, და მისი კანდიდატი; გამგეობიდგან გასულის პ. რ. ყიფიანის ნაცვლად გამგეობის ერთი წევრი და მისი კანდიდატი და თავ. ნ. ა. თუმანიშვილის ნაცვლად, რომელიც ვადამდე თავისის სურვილით ანებებს თავს სამსახურს, დამფასებელ კომისიის ერთი წევრი და მისი კანდიდატი.

სხოლოთ: კრება კანონიერი იქმნება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს. (3—6.—3)

## ქართული თეატრი

შაბათს, 25 მარტს,
ზაქ. პ. ფალიაშვილი გაჰმართავს
უკანასკნელს ქართულს

## კ ო ნ ც ე რ ტ ს.

კონცერტი ორი განყოფილებისაგან შესდგება. მონაწილეობას მიიღებენ: ქალთა და ვაჟთა ხორო, ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, თავ. ი. ა. ბარათაშვილი და სხვანი.

კონცერტის შემდეგ წარმოდგენილი იქნება

მშვენიერი ელენეს შამიებელნი

ფარსი 1 მ. გადმოკ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე, ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვ.

დასასრულ

**გოგონა და ლეკური**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე.
კონცერტის გამგე ზაქ. ზ. ფალიაშვილი
(3—6.—2)

ტფილისის ვაჭართა მამასახლისი და მისი ამხანაგი სთხოვენ ბ-ნთ პირველ და მეორე გილდიის ვაჭრებს მობრძანდნენ

**საზოგადო კრებაზედ,**

რომელიც კვირას, 26 მარტს, დილის $11\frac{1}{2}$ საათზედ მოხდება „ტფილისის სობრანიეს“-ში.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა 1899 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა და სხვა საქმეებისა, რომელნიც ვაჭართა საზოგადოებას შეეხება.

2, არჩევანები ვაჭართა ერთის მამასახლისისა და იმის ამხანაგისა 1900 წლისათვის.

3, არჩევანები ვაჭრობისა და მანუფაქტურის შვიდის წევრისა და ორის კანდიდატისა, ძველის წევრების ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით. (1—84—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. გაგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ა. ნ. შპაკოვსკი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

## ფელეტონი

### ჟოზეტტა მარსენი.

(ერნესტო დოდეს ისტორიული მოთხრობა)
(შემდეგი *)

ამ ხანად შემოდგომაც მოახლოვდა. დღეები თანდათან პატარავდებოდა და სიცივეც ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა. დრო და დრო ქარი ამოვარდებოდა ხოლმე საშინელის ძალით და ყოველს დაბერვაზედ ხეებს გაყვითლებულს სამოსელს აცლიდა და მიდამოზედა ჰფენდა. გადაუღებელი წვიმა საშინლად ალბობდა დედამიწას და ყოველივე ეს ერთად აღებული შეუძლებელს ხდიდა აგარაკად დარჩენას. მაგრამ ჟოზეტტა მაინც არ იღებდა პარიჟში დაბრუნებაზედ, თითქოს ეშინოდა თავისის ბედნიერების დაკარგვისა; ნამდვილად-კი აბრკოლებდა ის განსაცდელი, რომელიც მოელოდდა როლანდს იქ დაბრუნებისას. რაღაც განსაცდელის გრძნობა მძიმე ლოდსავით აწვებოდა გულზედ და აიძულებდა დღითი დღე გადაედო პარიჟში დაბრუნება, იმის მიუხედავად, რომ მისს მეგობართა და ამხანაგთ, რომელნიც მასთან ერთს თეატრში მსახურებდნენ, უკვირდათ მისი ამგვარი სიქცეული და ამათთან ერთად ბარრასაც, რომელსაც ვერ გაეგო, რა მიზეზით ჰგვიანობდა არტისტკა აგარაკად, როდესაც შემოდგომა უკვე ირგვლივ გამეფებულიყო.

ერთხელ როლანდმა კარგა ლოდინის შემდეგ ნათლად დაინახა, თუ რა განსაცდელში აგდებდა თავისს თავს ჟოზეტტა. ბოლოს, როდესაც კარგა ლოდინის შემდეგ ჟოზეტტა დაბრუნდა, გაყინულ-გათოშილი ქალი აიყვანა ხელში, ისე გადმოიყვანა თავ-დახურულ ეტლიდგან, და აქვე უთხრა გარდაწყვეტით, რომ დრო იყო მიეტოვებინათ სოფელი და ქალაქში დაბრუნებულიყვნენ. ქალი პირველში ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა მისს სურვილს. ორთავემ წასასვლელი დღე მეორე კვირისთვის დანიშნეს. ახალგაზდა ქალმა თავისდა უნებურად დაინახა ის უზრუნველი და ბედნიერებით სავსე წუთები, რომელიც იმათ აქ გაატარეს. მისხდომოდნენ გაჩაღებულს ბუხარს, სწორედ იმ ოთახში, სადაც პირველად იგრძნეს სიყვარულის ალი და კვლავ სტკბებოდნენ ბედნიერებით, სიტკბოებით. ჟოზეტტას უცებ რაღაც გამოუთქმელი ნაღველი შემოაწვა გულს, თითქოს იგრძნო, რომ მათს სიყვარულს, ბედნიერებას, რაღაც ემუქრებოდა და ნაღვლიანად მიუბრუნდა როლანდს:

— ჩემთვის რომ გეკითხა, ვირჩევდი აქედგან არსადაც არ წავსულიყავ. დავიჯერო სხვაგან კიდევ შემიძლიან გამოვცადო ის სიტკბოებითა და ნეტარებით სავსე წუთები, რომელთაც გამოვცდი ხოლმე აქ დაბრუნების დროს?

— მერე და სხვაგან განა ასევე არ მეყვარები?

— და ეს ყოველთვის ასე იქნება?

— ყოველთვის, ჩემო ძვირფასო!

იმ ნდობით სავსე კილომ, რომლითაც როლანდმა წარმოსთქვა ეს სიტყვები, სრულიად გაუქარწყლა ჟოზეტტას მძიმე და აუტანელი სულის კვეთება, მაგრამ მეორე დღეს დილით, როდესაც ქალმა შეხედა როლანდს და ამაოდ ეძებდა მისს სახეზედ ჩვეულებრივს ალერსიანს ღიმილს, სახე კვლავ მოეღრუბლა.

— ჩვენ დიდი ცვლილებანი მოგველის, ამ საქმეში ბევრი ჩემი მეგობარი იღებს მხურვალე მონაწილეობას. შესაძლოა ამ საქმეს ბევრმა მათგანმა სიცოცხლეც შესწიროს. —ასე აუხსნა როლანდმა ქალს თავისი ცუდ გუნებაზედ ყოფნა.

— მაშ როგორც სჩანს, ახალს შეთქმულებას აპირებენ?—შეშინებით შეჰყვირა ქალმა.

— მართალს ამბობ. მაგრამ მე არა მაქვს ნება ამის შესახებ ვილაპარაკო, ყველაფერს მერე შეიტყობ...

— მე მაინდა ეხლავ ვიცოდე ყოველივე..

— სამწუხაროდ დავპირდი სიჩუმეს და ფიციც მივეცი!..

ქალმა ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი და ერთს წუთს თვალებში ცრემლები მოერია; როლანდი ეცადა დაერწმუნებინა, რომ საშიში არა იყო რა აქ, მაგრამ ქალი უცებ გასწორდა წელში და მტკიცედ მიუგო:

— მე არა გთხოვ ფიცის გატეხას, საიდუმლოების გამომჟღავნებას. მხოლოდ ეს კი იცოდე, რაც უნდა მოგელოდდეს მერმისში, შენს ხვედრს მეც გავინაწილებ. ამის უარს ვერ მეტყვი, რადგან ჩემის სიყვარულით სრულიად დავიმსახურე შენთან სიკვდილიცა და სიცოცხლეც. შენ შეთქმული ხარ, მეც მინდა ვირიცხებოდე შეთქმულთა ერთ-ერთ წევრად!..

— თუნდა ამ გვარ მონაწილეობისათვის სიცოცხლის გაწირვა დაგჭირდეს?

— მაგ შემთხვევაშიაც კი! რაც უნდა მოხდეს—ჩვენი ბედი საერთო უნდა იყოს!

— აგრე იყოს!—დაასრულა მისის სიმტკიცით აღტაცებულმა როლანდმა: „აქამდის შენ იყავ აზნაურ ბელლიევრის სატრფო, ამიერიდგან შეიქმნები მისი თანაზიარიც!

— ახლა კი ვხედავ, რომ შენც ისეთვე გყვარებივარ, როგორც მე!—სიხარულით შეჰყვირა ჟოზეტტამ და ამ სიტყვებით გადაეხვია და თავისი მომხიბლავი თავი მისს მკერდს მიაყრდნო.

— რა უნდა გავაკეთოთ ახლა? მიბრძანე!

— ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, ამ სამის დღის შემდეგ ბარრა მოვიდეს შენთან ვახშმად და აქ შუაღამემდის მოიგვიანოს!

ჟოზეტტას უცებ ფერი ეცვალა.

— ჩემთან მოვიდეს ბარაა? შეთქმულება განა იმის წინააღმდეგაა?

— როგორც გატყობ, შენგან მიღებული გარდაწყვეტილება ირყევა კიდეც,—დაცინვით გააწყვეტინა როლანდმა;—წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავ, რომ ეგ კაცი ძვირფასი იყო შენთვის...

— მერე და შენ ხომ იმისთვის მახეს მაგებინებ?

— ჰო, მახეს. ზოგიერთებმა გარდასწყვიტეს მისი გატაცება, მოსაკლავად კი არა, არ გეგონოს, მხოლოდ იმისთვის, რომ ზოგიერთი პირობა დაუდონ.—მაგრამ კმარა, მეტს აღარ ვილაპარაკებ მაგაზედ,—მკვახედ დაათავა როლანდმა; ვცდებოდი, რომ შენს სიტყვებს დავუჯერე.

— ბარრა, ყოველთვის კეთილად მეპყრობოდა, იმისგან კეთილის მეტი არა მახსოვს-რა,—გააწყვეტინა ჟო-

*) იხ. „ივერია“ № 65.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს ჴ გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**
**(—1—წ).**

ტფილისი, 23 მარტი

ამ თვის გასულს სრული ექვსი თვე შესრულდება მას შემდეგ, რაც ერთი მუჭა ხალხი დიდ ბრიტანიას ებრძვის. ძალი და ღონე მრავლად მოიკრიბა ინგლისმა, ორასი ათასი მხედრობა უკვე გაჰგზავნა სამხრეთ აფრიკაში და მაინც ვერ დასთრგუნა სამშობლოსა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ჰაჭკაცნი, რომელთაც გვერდში უდგანან დედა-კაცნი და მცირე-წლოვანნი ყრმანი.

წარსულ თებერვლის თხუთმეტს ინგლისის მთავარ-სარდალმა რობერტსმა მოიმწყვდია ბურების გენერალი კრონიე და იძულებულ ჰყო იგი იარაღი დაეყარა. კრონიეს სულ 4,000 მეომარი ჰყავდა, რობერტსს-კი 40,000 და 50 ზარბაზანი ჰქონდა. ამისდა მიუხედავად კრონიე მთელი ერთი კვირა გამმაგებით ებრძოდა ინგლისელებს და ბოლოს ხალხის გაწყვეტას დამორჩილება ამჯობინა. ამ დღიდგან ინგლისელებს თითქოს ბედმა გაუღიმა. გაანთავისუფლეს კიმბერლეი და ლედისმიტი, სადაც ინგლისის მომწყვდეული ჯარი კინაღამ შიმშილით ამოწყდა.

კრონიესი და მისის ჯარის დატყვევება დიდი უბედურება იყო ბურებისათვის. შორიდგან მაყურებელ ევროპას ასე ეგონა, რომ დღეიდგან ბურების განადგურება ინგლისელებს გაუადვილდებათო. თვით მეთაურნი ბურების რესპუბლიკებისა დიდად შეფიქრიანდნენ და ევროპის სახელმწიფოებს სთხოვეს—დაგვეხმარეთ და შუამდგომლობა გაგვიწიეთ, რომ ჩვენსა და ინგლისელებს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდესო. ასეთისავე თხოვნით მიჰმართეს ინგლისსა, მაგრამ ინგლისმა რიხიანად შეუთვალა, ან სრული დამორჩილება, ან თქვენი ერთიანად განადგურებაო. ხელი არ გაანძრიეს აგრეთვე ბურების სასარგებლოდ ევროპის სახელმწიფოებმაც. ყველამ შეუთვალა ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკების პრეზიდენტებს, რომ დახმარებას ვერ აღმოგიჩენთო.

ამ გვარად ბურების გაჭირვება გაორკეცდა. ერთის მხრივ კრონიეს დამარცხება და ტყვედ წაყვანა და მეორეს მხრივ ევროპის უარი—ვერ დაგეხმარებიო. ამისთანა გაჭირვებაში ვის არ წაუხდება გული და ვინ არ მიეცემა სასოწარკვეთილებას?

დიახ, შეიძლება სხვას ყველას წაუხდეს გული, მაგრამ იმათ კი არა, ვინც საქვეყნოდ გამოაცხადა: „ან ერთიანად გაწყვეტა. ან სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობაო“.

მართლაც, თებერვლის ნახევრიდგან დაწყებული დღევანდლამდე არაფერი საყურადღებო ამბები არ მოსულა ბრძოლის ველიდგან. გამარჯვებული ინგლისის ჯარი და მისი მთავარ სარდალი უცნაურად მიყუჩდა, თითქოს წინ წასვლას ვეღარა ჰბედავსო. გუშინწინ მოსულმა, ჩვეულებრივ ბუნდოვანმა, დეპეშამ, სულ სხვანაირი ამბავი მოიტანა ბრძოლის ველიდგან. ბურებს გაუმარჯვნიათ და მერე რანაირად! წაართვეს თურმე ინგლისელთა ერთ რაზმსა პოლკოვნიკი ბროდვორდის უფროსობით მთელი საომარი სურსათი და ბარგი, შვიდი ზარბაზანი და 350 ჯარის კაცი მოუკლეს. თვით რობერტსის სიტყვით, ბრძოლის ველი საშინელ სურათს თურმე წარმოადგენდა. მიდამო დაფენილი ყოფილა დახოცილის ცხენებით, როცა რობერტს დაუთვალიერებია იქაურობა, მილეწილ-მოლეწილის ურმებითა და საომარის სურსათითო. აქ-იქ აღმოჩნდა თურმე ადამიანის გვამები. მთელი რაზმი მთლად ამოსწყდებოდა ჩასაფრებული ბურებისაგან, ინგლისელებს მაშველი ჯარი რომ არ წამოსწრებოდაო, ასე მოახსენებს თვით რობერტსი ამ ამბავს თავისს მთავრობას. ბროდვორდის რაზმი მცირე არა ყოფილა, გაზეთების სიტყვით, რაზმი შესდგებოდა თურმე ცხენოსანი ჯარისა, ორის არტილერიის ბატარეისა და ქვეითა ჯარისაგან.

სასტიკად დამარცხება ინგლისელებისა 19 მარტს ხელ-ახლად ამტკიცებს, რომ კრონიეს დაღუპვის შემდეგ ბურებს გული არ გასტეხიათ და შესძლებიათ კიდევ ინგლისელების დამარცხება. მაშასადამე, ჯერ კიდევ იმედი უნდა ჰქონდეთ მამაც ბურებს, რომ მათი გმირული თავის განწირვა სამშობლოს დასაცველად უნაყოფოდ არ ჩაუვლის და განგების შემწეობით ეგები როგორმე გადარჩნენ მონობასა და დამოუკიდებლობის დაკარგვასა.

თავისს თავად 19 მარტის გამარჯვება ბევრს არასა ჰნიშნავს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ბურებმა უბედურება იხილეს უკანასკნელ თვე ნახევარსა, თუ ასეთი სიმხნევე გამოიჩინეს, რომ გამარჯვებულს ინგლისელებს ზურგზე ბოლი აადინეს, ეს იმის მომასწავებელია, რომ მათი დამარცხება დიდად გაუძნელდება ინგლისსა, ომი დიდ ხანს გასტანს და ამ ხანში, ვინ იცის, რანაირად შეიცვალოს ევროპისა და ამერიკის საპოლიტიკო ვითარება. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ბურების თავისუფლება უზრუნველ-ყოფილი იქნება.

ა. ფრონელი.

## ახალი ამბავი

*** 22 მარტს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზედ თავმჯდომარემ კრებისა, გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლის თანამდ. აღმას. გენერალ მაიორმა საგინაშვილმა წაიკითხა პეტერბურგიდგან მიღებული თავ. დ. ზ. მელიქიშვილის საპასუხო დეპეშა. ეს დეპეშა შემდეგი შინაარსისაა:

„განუსაზღვრელად მასიამოვნა დიდებულმა ყურადღებამ თავად-აზნაურობისამ, რომელსაც მაზრებისა და გუბერნიის სათავად-აზნაურო კრძო კრებებზედ დაუდგენია ამომარჩიოს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. მთელის ჩემის სიცოცხლის თავმოსაწონებლად ჩავთვლიდი გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენლად, მისთა საჭიროებათა მოსამსახურედ ყოფნას“.

*** როგორც გაზეთი „Моск. Вѣд.“ იუწყება, მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულს უბრძანებია გაეგზავნოს ტფილისის გუბერნატორს ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ის 5000 მანეთი, რომელიც წარსულ 1899 წელს იქმნა შეწირული მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

*** მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი დ. ს. ს. კესტერი თავისი თანაშემწით როშჩუპკინით უკვე შეუდგა ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს რევიზიას. იგივე კესტერი დღეს, პარასკევს, დაიწყებს ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთ საკრებულოს რევიზიას. ამ რევიზიის გამო საკრებულოს მდივნად ნამყოფი ბ-ნი ყიფშიძე დატოვებულ იქმნ[ა] საკრებულოში, ვიდრე რევიზია დასრულდება და მისი თანამდებობ[ის] აღსრულება მიენდო ბორჩალოს მაზ[რის] მომრიგებელ შუამავალს თ. [...] დ. აბხაზს.

*** საგლეხო საკრებულოს წევრად ნამყოფის ნ. ზ. აკიმოვის მაგივრად დანიშნული ვ. ნ. ბარანოვსკ[ი] უკვე ტფილისში ჩამოვიდა და [...] დღეებში შეუდგება თავისს მოვალე[ობ]ის აღსრულებას. ამ ჟამად საგლეხო საკრებულო შესდგება სულ ახა[ლ]ი წევრებისაგან და მდივნისაგან: ტებენკოვისა, ტირიუტინისა, ვეიდე[ნ]ბაუმისა, ბარანოვსკისა და მდივნ[ის] მისენკოსი.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ამორჩეული კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონ[და] და აბრეშუმის თესლზე კონტროლ[ის] შემოღების შესახებ პროექტის შე[მ]მუშავება, უკვე ამთავრებს ამ პროექტს. პროექტი შემდეგ საზოგად[ოების] კრებას წარედგინება განსახილველად.

*** ტფილისის საგუბერნიო მართველობის განსაკუთრებულმა საკრებულომ ამ დღეებში დაამთავრა სა[...] დგილ-მამულო გარდასახადის განაწ[ი]ლება ტფილისის გუბერნიაში. ეს გარ[დ]ასახადი გაწერილია იმათზედ, ვინ[ც] საკომლო გარდასახადს არ იხდი[ს]. გარდასახადი ამ რიგად არის განაწილებული ტფილისის გუბერნიის მაზრებზედ: ტფილისის მაზრაზედ 761 მან. 91 კაპ., გორისაზედ 20,66[...] მან. 39 კ., დუშეთისაზედ—3,87[...] მან. 54 კ., ბორჩალოსაზედ—1864 მან. 47 კ., ახალციხისაზედ—684[...]

ზეტტამ, რომელსაც სატრფოს მკვახე სიტყვები ლახვარსავით მოხვდა გულში და საშინლად აღელვა.

როლანდმა ხმა აღარ გასცა, გამობრუნდა და გავიდა ოთახიდგან. ყმაწვილი ქალი ამ ამბავმა თავ-განწირულებამდის მიიყვანა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მათ შორის უთანხმოება მომხდარიყო და ამით ცოტაც არის შეერყია მათი ბედნიერებით სავსე მყუდროება. როდესაც ცოტა ხანს უკან ქალმა იპოვა იგი ბაღში, ყმაწვილ კაცს წყენის ნიშნები სრულიად აღარ ეტყობოდა სახეზედ; მხოლოდ ჩუმად იყო და ხმას არ იღებდა, რაც მეტის-მეტად ჰმოქმედებდა ქალზედ, თითქმის მისს საყვედურზედაც კი მომეტებულად, და აუტანელად სტანჯავდა ჟოზეტტას.

— ნუ მომისპობ შენს მეგობრობას, შენს სიყვარულს,—ევედრებოდა ქალი.—თუ გინდა, რომ ბარრა აქ იყოს სამი დღის უკან, გაძლევ სიტყვას, რომ ის აქ იქმნება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ არ მოჰკლათ!

— მე ბოროტი განზრახვა არა მაქვს-რა,—გააწყვეტინა როლანდმა ალერსიანის ხმით: იმის დაჭერა მესაჭიროება ჩემის აზრების განსახორციელებლად.

— და შერიგების ნიშნად მხურვალედ ჩაეკვრნენ ერთმანეთს ახლგაზრდანი. თუმცა ჟოზეტტას სინიდისის მხილება არ აძლევდა კიდევ მოსვენებას, მაგრამ არ უმხელდა ამას როლანდს. ქალი არა ნანობდა მასთან უფრო ძლიერ დაკავშირებას, რადგა ეს გარემოება აძლევდა საშუალებას მასთან ერთად სიცოცხლისას ჴ მასთანვე სიკვდილისას ბოლოევრმა დაწვრილებით უამბო თავისი გაბედული და თავზედ ხელ-აღებული მოაზრება. ეს აზრი დაებადა როლანდს მაშინ, როდესაც გაიგო, რომ ბარრა ვილნევ-სენ-ჟორჟში მარტო დადიოდა და თან მხლებლებს არავის იყოლებდა. მისს თავდახურულს ეტლს წინ მიუძღვოდა ჩაფარი ფანრით ხელში და გზას უნათებდა, მეეტლე და ერთიც მოსამსახურე ჰყავდა. რასაკვირველია, ყველანი და თვით ბარრაც კარგად იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ მაინც და მაინც ეს გარემოება უკან რას დააწევინებდა როლანდს.

პარიჟში იმან იპოვა სამი გულადი და ერთგული კაცი წანანდელ შუანების დასისგან; მან მოიხმო და დამალა ისინი შარანტონში. როლანდს გამოცდილი ჰქონდა მათი სიგულადე და თავი უძლეველად მიაჩნდა და სწორედ ამისთვის გარდასწყვიტა ბარრას ჟოზეტტას სახლში შეპყრობა.

რას უზამდა შემდეგ ბარრას, ბელლიევრმა ჯერ თითონაც კარგად არ იცოდა. ხან ჰფიქრობდა გაეგზავნა ის ბლანკენბერგში, გერმანიაში, სადაც იმყოფებოდა ამ დროს მეფე, ხან მოსდიოდა აზრად ძალდატანებით გამოეცემინებინა ისეთი ბრძანება, რომლის ძალითაც ის გახდებოდა პარიჟის მფლობელად. მაგრამ ერთითი ჰფიქრობდა დამორჩილებოდა ჯერ-ჯერობით გარემოებათა მდინარეობას და მათდა მიხედვით ემოქმედა; დარწმუნებული იყო ამავე დროს, რომ ეს ამბავი დიდს ალიაქოთს აუტეხდა რესპუბლიკანელებს და როიალისტებს კვლავ დაუბრუნებდა გამქრალს იმედს.

ჟოზეტტამ გარდასწყვიტა როლანდის ყოველს საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიეღო და საზოგადოდ ყოველს მისს აზრს თანაუგრძნობდა. მან მისწერა ბარრას წერილი, სთხოვა მობრძანებულიყო მასთან სამის დღის უკან და თან სცდილობდა, რომ უარი ვერ ეთქვა, იგი აგრძნობინებდა ამასთან დირექტორიის მმართველს, რომ მისი იმედები აწ შესაძლოა განხორციელდეს და მისი მუდმივობა დასაჩუქრებულ იქნება სრულის გამარჯვებით; ჟოზეტტამ კარგად იცოდა, რომ ამის გულისთვის ბარრა მზად იყო გაჰყოლოდა და დასდევნებოდა ყოველგან.

ამ წერილის დანიშნულებისამებრ გარდაცემა პიერეტტას დაავალეს, რომელმაც სრულიათ არა იცოდარა წერილის შინაარსისა. რადგან საჭირო იყო პიერეტტასაგან ყოველივეს დამალვა, როლანდმა ისარგებლა იმისის წასვლით, მოიხმო თავისთან შუანები და უკანასკნელი დარიგება მისცა, დაუნიშნა თითოეულს მათგანს თავ-თავისი ადგილი, სადაც ისინი დარჩებოდნენ იმ დრომდის, ვიდრე დრო მოვიდოდა მოქმედებისა. ამის შემდეგ დაითხოვა შუანები და თან უბრძანა, დანიშნულს დრომდის არსად გამოჩენილიყვნენ, რომ ქალაქ შარანტონის მმართველობის ყურადღება არ მიეპყროთ როგორმე. პიერეტტა იმ საღამოსვე დაბრუნდა და თან ბარრას სურნელოვანი ბარათი მოიტანა, რომელშიაც ყოველი სტრიქონი განუზომელს მადლობას და შეყვარებულის აღფრთოვანებულს იმედებს გამოხატავდა.

შემდეგი დღეები ჟოზეტტას სიცოცხლის უბედნიერესს, საუკეთესო წუთებს წარმოადგენდა. მისმა ერთგულებამ როლანდის გულში ერთიორად გააღვივა სიყვარულის ალი და გააძლიერა. მისის ნაზის ალერსით მოხიბლულ-მოჯადოვებული ჟოზეტტა გატაცებით ეძლეოდა ამ სიამოვნებით სავსე წუთებს და მათგან გაბრუებულს არ სურდა მალე გამ[ო]ფხიზლებულიყო; როლანდიც ამ სამ[ი] დღის განმავლობაში არ შორდებ[ოდა] და ქალს და მასთან ერთად სტკ[ე]ბოდა ბედნიერებით; წინად, რამდე[ნი]მე კვირის განმავლობაში ჟო[ზე]ტტა შიშითა ჰკრთოდა, რომ [...] ბედნიერება ადრე თუ მალე მოესპო[...]ბოდა; ეხლა-კი ეს შიში სრულია[დ] განშორდა და ისიც თავ-დავიწყებ[ით] ეძლეოდა გრძნობათა მორევს.

— მეფის ინტერესების დასაც[ვე]ლად ჩემ თანაზიარად გახდომით შ[ენ] დაიმსახურე იმისი მადლობაცა [და] ჩემიც,—ეტყოდა ხოლმე როლან[დი].—ეხლა ჩვენ არასოდეს არ განვშორ[...]დებით ერთმანეთს, ჩემო საყვარელ[ო] ჟოზეტტა. შენ ჩემთან ერთად გა[...] ნაწილებ ჩემს მომავალს ძლევა-გამა[...]რჯვებას, თუ, რასაკვირველია, მიწ[...]რია ამ გვარი რამ, ისევ, როგორ[ც] აქამომდე ინაწილებდი ჩემს დამარ[...]ხებას. წავადგენ მეფესთან, როგორ[ც] ჩემს საცოლეს.

— ბედნიერი ვიქმნები ვატარ[ო] შენი სახელი!—წარმოსთქვა აღტაც[...]ბით ჟოზეტტამ. რომ დავმარცხდე[თ] შენს ხვედრს მეც გავინაწილებ, არ[...] მპირდები ამას?

— არა, ჩვენ უეჭველად გავიმა[რ]ჯვებთ!—დაბეჯითებით წამოიძ[ახა] როლანდმა.

(შემდეგი იქნება)

მან. 6 კ., ახალქალაქისაზედ—2468 მ. 50 კ., სიღნაღისაზედ—5941 მ. 42 კ., თელავისაზედ—4295 მან. 91 კაპ., და თიანეთის მაზრაზედ—1547 მან. 70 კაპ. მთელს გუბერნიაზედ საადგილ-მამულო გარდასახადი არის სულ—71,911 მან. 90 კაპ.

⁂ აზრადა აქვთ წელს გააფართოვონ ლაგოდეხში არსებული თამბაქოს პლანტაცია.

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ავლაბარში ახალ შენობას აგებენ უსინათლოთა სკოლისათვის. შენობა ამ ჟამად თითქმის დამთავრებულია, მხოლოდ ქვემოთა სართულს-ღა უნდა შიგნით მოწყობა. შენობის წინ ეზოში ბაღის გაშენებას შეუდგნენ. სკოლას ძველის შენობიდგან (ალექსანდროვის ქუჩიდგან) ახალში 1 მაისს გადაიტანენ.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ტფილისში შემოღებულ იქმნას საზოგადო გადასახადი საავადმყოფოს სასარგებლოდ. ეს შუამდგომლობა ტფილისის გუბერნატორს უკვე წარუდგენია კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელისათვის.

⁂ როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, გზათა სამინისტროში ლაპარაკი ალუძრავთ იმის შესახებ, რომ ქალაქ კავკავში რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი იქმნას დაარსებულიო.

⁂ როგორც იუწყებიან, გორისა და ახალციხის მაზრებში ხევები ძალიან ადიდებულა. ბევრგან წყალს ნათესი წაულეკია.

⁂ გ. მორფილი, ინგლისის მეცნიერი, ბეჯითად თვალ-ყურს ადევნებს ქართულს ლიტერატურას. როგორც გვწერენ ლონდონიდამ, ბ-ნ მორფილს „ფრიად სასარგებლოდ და მეტად საყურადღებოდ" მიუჩნევია მ. ჯანაშვილის მიერ ახლად დაბეჭდილი წიგნები—„Царица Тамара" და „ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე", და მათ შესახებ დაუმზადებია ვრცელი მოხსენება, რომელსაც იგი დაბეჭდავს „აზიურ საზოგადოების" ჟურნალში. „ჩვენი თანამემამულენიო, სხვათა შორის, შენიშნავს ამ კორესპონდენციის ავტორი, მცირე ყურადღებას აქცევენ იმ აღმოსავლეთის ენებს, რომელიც ინდურის მკვიდრთა ენას არ შეადგენსო".

⁂ მტკვარი თან-და-თან მატულობს და რიყეზედ მცხოვრებთა გაჭირვების დღეებიც მოახლოვდა. რიყესა და დიდუბეში ბორნები ვეღარ მუშაობს. შეჩერებულა მუშაობა წისქვილებშიაც. წყალმა ბევრი მიწა ჩამოატალა მადათოვის კუნძულს. პოლიციამ და წყალში დაღრჩობისაგან გადამრჩენელმა საზოგადოებამ უკვე ზომები მიიღო, რომ უბედურ შემთხვევის დროს შეეძლოთ შემწეობის აღმოჩენა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოგალიევი ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორთან ერთად შეუდგა ქალაქის სასტუმროების სანიტარულის მხრივ დათვალიერებას.

⁂ ამ უკანასკნელ დროს საქონლის ჩარჩების რიცხვი საშინლად გამრავლდა. ნავთლუღის მცხოვრებნი თითქმის მთლად ჩარჩებად გადაიქცნენ. ეს ჩარჩები ვაჭრებს თითქმის ხელიდგან აცლიან საქონელს მალაკაი. ქალაქის გამგეობისაგან დადგენილებით თუმცა ჩარჩებს უფლება არა აქვთ არავითარი საქონლისა და მით უმეტეს სხვილ-ფეხა საქონლის ყიდვისა, მაგრამ ისინი მაინც უველგან დაძრწიან და ჩარჩობენ თავისუფლად. ქალაქის გამგეობის დადგენილება მხოლოდ დადგენილებად რჩება და ჩარჩები კი თავისას ჩადიან. რიყეში ქალაქის მხრივ ზეითალი არის დაყენებული. ჩვენის აზრით, ამ ზეითალის მოვალეობაა თვალ-ყური ადევნოს ჩარჩებს.

⁂ სოხუმის ოლქის უფროსის თანაშემწე კაპიტანი სმელნიცკი, როგორც „ცნ. ფურ." იუწყება, დაინიშნა სენაკის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

⁂ 18 მარტს გროზნოსა და სადაგურ ალხანიურტს შუა სიფოსტო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. ამ უბედურებამ იმსხვერპლა ორი მაშინისტი, ერთი ფოსტის მოხელე, ერთი კონდუქტორი და რამდენიმე მგზავრი. ოცზე მეტი კაცი საშინლად დაშავდა თურმე.

⁂ 15 მარტიდგან 22 მარტამდე ტფილისში შემოსულა სხვა და-სხვა გუბერნიებიდგან და მაზრებიდგან გასასყიდად მსხვილ-ფეხა საქონელი 554 სული. სახელდობრ: ახალ-ქალაქის მაზრიდგან 102 ხარი, 10 ძროხა, 1 კვებულა და 2 ხარ-კამეჩი. ბორჩალოს მაზრიდგან: 58 ხარი, 29 ძროხა, 16 კვებულა, 34 ხარ-კამეჩი და 8 ფურ-კამეჩი. გორის მაზრიდგან: 2 ხარი, 12 ხარ-კამეჩი და 2 ფურ-კამეჩი, დუშეთის მაზრიდგან: 1 ხარი, 1 ძროხა, 2 კვებულა და 1 ხარ-კამეჩი. სიღნაღის მაზრიდგან: 2 ხარ-კამეჩი. თიანეთის მაზრიდგან: 1 ხარი, 2 ხარ-კამეჩი და 2 ფურ-კამეჩი. ტფილისის მაზრიდგან: 7 ხარი, 4 ძროხა, 8 კვებულა, 15 ხარ-კამეჩი და 12 ფურ-კამეჩი. ერევნის გუბერნიიდგან: 75 ხარი, განჯის გუბერნიიდგან: 111 ხარი, 13 ძროხა, 1 კვებულა და 1 ფურ-კამეჩი. ყარსის ოლქიდგან: 25 ხარი, რუსეთიდგან: 49 ხარი. ადგილობრივი ხარი გაიყიდა 15 მანეთ. 35 მანეთამდის; ძროხა 11 მან.—20 მ.; კვებულა 7 მან.—12 მან.; ხბო 3 მ.—7 მ.; რუსეთის ხარი 40 მ.—50 მან.

ზემოდ მოყვანილის ცნობების მიხედვით ფუთი ხორცი ტფილისის ყასბებს 2 მ. 50 კ.—3 მანეთამდე უჯდებათ, ისინი-კი ერთ ფუთ ხორცს ნახრით, თუ მიუხედავად ნახრისა, 4 მ. 40 კ.—5 მან. ჰყიდიან.

⁂ ყარაია. დადგა უკვე დრო ცხვრის წველისა და მთელი ყარაიის მინდორ-ველები აივსო ტფილისის ჩარჩებით. ესენი აქ დარჩებიან მაისის ნახევრამდის და რასაც-კი ცხვარი მოიწველის—მათია.

⁂ გამოვიდა ახალი წიგნი „† გ. წერეთელი (1842—1900)". ფასი ხუთი შაურია.

⁂ 22 მარტს, ღამით, ენფიანჯიანის თამბაქოს ქარხნიდგან მოიპარეს თამბაქო და პაპიროსი. ერთი გირვანქა თამბაქო ეზოში იპოვეს. დამნაშავენი ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ. ზარალი 100 მანეთს აღემატება. თამბაქო ფანჯრიდგან გაუტანიათ.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

23 მარტი.

კრება დაიწყო $11^1/_2$ საათზედ. წაკითხულ იქმნა 22 მარტის კრების დადგენილებათა ოქმნი, რომელნიც მცირეოდენის შესწორებით კრებამ დაამტკიცა. შემდეგ წაკითხულ იქმნა თავ. ზ. ერისთავის განცხადება, რომელშიაც იგი სთხოვს კრებას აღძრულ იქმნას სათანადო მთავრობის წინა შუამდგომლობა, რომ განწესრიგებულ იქმნას საბალახო ადგილებით სარგებლობის საქმე კანონ-დებულობის შემწეობით. დიდი კამათი გამოიწვია ამ საგანმა. ზოგნი ამბობდნენ, რომ საჭიროა შესდგეს საერთო კომისია, რომელსაც დაევალოს როგორც ამ საკითხისა, აგრეთვე ყოველ ამ გვარ საგნების გამორკვევაო. გამოითქვა აგრეთვე ის აზრიც, რომ ბევრად უმჯობესი იქმნება დატოვებულ იქმნას ეს საქმე ისევე, როგორც დღეს არის და ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ არსებულის კანონ-დებულობით, მით უმეტეს, რომ ჩვენში მუდმივი საძოვარი ადგილები არ არსებობს და ის, რაც დღეს საძოვარი ადგილია, ხვალ შეიძლება დაიხნას და დაითესოსო.

კრებამ დაადგინა დაევალოს თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს მოიწვიოს მცოდნე კაცები, შეიმუშაოს ეს საგანი და შემდეგ წარუდგინოს თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას მისდა განსახილველად.

მერე წაკითხულ იქმნა თავ. თაქთაქიშვილის თხოვნა, რომ შუამდგომლობა აღიძრას უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ჩემი შვილი, რომელმაც სრულიად შემთხვევით კაცი დასჭრა ჩხუბის დროს და ამიტომ ასტრახანის გუბერნიაშია გარდასახლებული, დააბრუნოს მთავრობამ და დანაშაული აპატიოსო. კრებამ შეიწყნარა თავ. თაქთაქიშვილის თხოვნა და დაადგინა აღძრას ამის შესახებ შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე.

დასასრულ კრებას მოხსენდა 250 თავად-აზნაურობის მიერ მირთმეული ქაღალდი, რომელნიც აცხადებენ, რომ სათავად-აზნაურო ბანკიდგან დასაბრუნებელი ფულის ის ნაწილი, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის, ვითარცა დამფუძნებელთ, შევსწირავს საზოგადო საქმისთვის და მისი მიღება და მოხმარება მივანდვია გუბერნიის თავად-აზნაურობისათვისაო. ამ თხოვნამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რადგან ზოგიერთნი ამტკიცებდნენ, რომ თავად-აზნაურობას უფლება აქვს მოითხოვოს ყველა დამფუძნებელთა ფული, რაკი დაადგენს, რომ ეს ფული თავად-აზნაურობის საზოგადო რამ საჭიროებას მოხმარდეს და არ დაუბრუნდეთ დამფუძნებელთაო. თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ ფული დამფუძნებლებისაა და არა თავად-აზნაურობისა, ვითარცა წოდებისა. ჩვენ ფინანსთა მინისტრისაგან ნაბრძანები გვაქვს ფული დავუბრუნოთ პატრონთ, ე. ი. დამფუძნებელთ, და თუნდა დაადგინოთ კიდეც, რომ ეს ფული თავად-აზნაურობას გარდეცესო, ეგ დადგენილება სავალდებულო არ იქმნება არც ჩვენთვის და არც თვით დამფუძნებელთათვისაო. რაც შეეხება მას, რომ ეგ ფული ეხლავე შევიტანოთ რომელსამე ბანკში გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელობაზედაო, ჩვენ ეს არ შეგვიძლიან, იმიტომ-რომ თავად-აზნაურობა პატრონი არ არის ამ ფულისა და თვით დამფუძნებელთა სახელობაზედ შესატანად-კი საჭირო იქნება ყველა დამფუძნებელთა დასახელებაო და, ამას გარდა, არც ვალდებულნი ვართ ერთბაშად ამ ფულის შეტანას, რადგან სამინისტრო გვწერს „დაუბრუნოს ბანკმა ფული თანდათანობით, ნელ-ნელა"-ო (постепенно). თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი, ვ. გ. მაჩაბელი და მ. ვ. მაჩაბელი ამტკიცებდნენ, რომ გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებას უფლება აქვს ამ ფულის შესახებ სჯა-ბაასი იქონიოს და მისი ბედ-იღბალი გარდასწყვიტოსო. თავ. აფხაზი იმ აზრისა იყო, რომ მადლობა განვუცხადოთ მაგ 250 კაცს შემოწირულებისათვის და დავავალოთ მაზრის თავად-აზნაურობათა წინამძღოლთ, რომ გააცნონ სხვა დამფუძნებელნი და არა-დამფუძნებელნი თავად-აზნაურნი ამ შემოწირულების ამბავს და აღძრან იმად, რომ იმათაც თავიანთი ნაწილი სადამფუძნებელო ფულისა თავად-აზნაურობის საზოგადო საჭიროებას შესწირონო. კრებამ, დაგვიანებისა გამო, ამ საგნის გარდაწყვეტა სამეორედღეოდ გადასდო.

კრება დანიშნულია დღეს, 24 მარტს, დილის 10 საათისათვის.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

წარსულის ხუთის წლის განმავლობაში საერო განათლების სამინისტროს მიერ რამდენჯერმე იქმნა განხილული ფრიად საყურადღებო საგანი, რომელიც შეეხებოდა: საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა უეგზამენოდ კლასიდამ კლასში გადაყვანას. 1891-წ. და 1895 წლებში სამინისტროს მიერ დაგზავნილი იყო საყოველთაო ბრძანება, რომლითაც ზოგიერთ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში ეძლეოდათ ნება გადაეყვანათ მოსწავლეები კლასიდგან კლასში უეგზამენოდ, მაგრამ ამ ბრძანებას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობებოდა წინ და ამასთანავე შეეხებოდა მხოლოდ ზოგიერთა სასწავლებლებს. საერო გან. სამინისტროს ეხლა ხელ-ახლად განუხილავს ეს საგანი, როგორც გვაუწყებს „Рус. Вѣд.":

„მიწერილობა 14 მარტსა საოლქო სამოსწავლო მზრუნველთა მიმართ სპობს წინანდელ უსამართლობას. იგი ნებას აძლევს გიმნაზიებში ეგზამენების შესახებ მიიღონ ისეთივე წესი, როგორითაც ჰხელმძღვანელობენ რეალურ სასწავლებლებში. უეგზამენოდ შეუძლიანთ გადაიყვანონ ყველა ის მოსწავლე, რომელსაც ორ უმთავრეს საგანში ოთხ-ოთხი ნიშანი ჰყავს და დანარჩენში სამ-სამი, წინა წლების მიწერილობით-კი მოსწავლეს უეჭველად სამ საგანში უნდა ჰქოლოდა ოთხი. საზოგადოდ ახალი მიწერილობა ამ საგანს უფრო ვრცლად და მრავალ მხრივ შეეხება, ასე რომ იმედია ჩვენ გიმნაზიებში ნახევარი რიცხვი მოსწავლეებისა კლასიდგან კლასში უეგზამენოდ გადავა. მაგრამ უფრო სანუგეშო ის არის, რომ ამავე მიწერილობაში სამინისტრო აცხადებს, რომ ამ საგანში შემდეგ კიდევ იქნება შემოღებული ზოგიერთი ცვლილებაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პროფესორმა იეგერმა ამას წინად ერთი საყურადღებო წერილი დასტამბა. ამ წერილში პროფესორი ადარებს ინგლისისა და გერმანიის სწავლა-განათლების სისტემებს. სხვათა შორის პროფესორი ამბობს: „გერმანული სისტემა, რომლის წყალობით ქაბუკმა სკოლის გარეშე არაფერი უწყის, ცუდად მოქმედებს ბავშვზედ იმ მხრივ, რომ ენერგიას, მხნეობას უკარგავს და განამარტოებს, განაცალკევებს და აგრეთვე მორჩილებას აჩვევს. ინგლისური სისტემა-კი, რომელიც სწავლასთან ერთად გიმნასტიკას, თამაშობასა და სპორტს სავალდებულოდა ჰხდის, თვით მოქმედებას უნერგავს ახალგაზდებს და მორჩილების გზას, რომელსაც ბევრი მავნე მხარე აქვს, აშორებს. ინდივიდუალურ ენერგიით ინგლისელს ვერავინ აჯობებს, ეს კი გიმნასტიკისა და სპორტების წყალობაა. ასეთის სისტემის წყალობითვე ინგლისელნი საუკეთესო პიონერნი, ახალის ქვეყნების აღმომჩენნი, საუკეთესო მოგზაურნი არიან. ინგლისელი იმდენად მხნეა, რომ ერთხელ გადაწყვეტილ საქმეს ვიდრე არ განახორციელებს, თავს არ გაანებებს. მაგრამ ასეთ აღზრდას ცუდი მხარეც აქვს. იქ, სადაც სხვასთან ერთადაა სამუშაო და სადაც დისციპლინაა საჭირო, ინგლისელი გამოუსადეგარია. გიმნასტიკასა და სპორტის შემწეობით აღზრდილი ინგლისელი ჯიუტი, ქედ მოუხრელი და თავისს თავისს მოიმედე ხდება. ინგლისელს ბრძანება უფრო ეჯავრება, ვიდრე სხვის ბრძანების აღსრულება. აი სწორედ ამ თვისებამ ინგლისელთა ხასიათისამან დააწინაურა ინგლისის ერი ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში და გაბატონა ზღვაში. ნემეცები ასეთ ენერგიას მოკლებულნი არიან".

* * *

როგორც პოლონური გაზეთები გადმოგვცემენ, ამას წინად ლოდზში ქუჩაზედ თვალი მოუკრავთ ერთის ახალგაზდა, 21 წლის, ქალისთვის. ქალი ხანხალით მიდიოდა თურმე. ხალხს მთვრალი ჰგონებია და სასაცილოდ აუგდია. ბოლოს ქალი, გვარად ველმარია, შიგ შუა ქუჩაში დაცემულა; როდესაც პოლიცია მისულა, ძალზედ მისუსტებულს ქალს ძლივს უთქვამს, რომ მთვრალი კი არა, მშიერი ვარ, შვიდი დღე არაფერი მიჭამიაო. იმავე დღეს ქუჩაში დაგდებული უნახავთ მეორე მშიერი კაცი კრიჟანოვსკი. კრიჟანოვსკი მუშა ყოფილა, მაგრამ სამუშაო ვეღარსად უშოვნია და რამდენიმე დღე ქუჩა-ქუჩა უვლია მშიერს. ეს კიდევ არაფერი, იმავე დღეს, იმავე მდიდარ და სამრეწველო ქალაქ ლოდზში სხვა შიმშილისაგან მისუსტებულნი და სიკვდილის პირამდე მიღწეულნიც უნახავთ: 12 წლის ბავშვი სვეტნო, 21 წლის ქალი რატაიჩიკი და 55 წლის მოხუცი ჰუტმანი. ერთ დღეს ხუთი კაცი! ვინ იცის ახლა რამდენმა მშიერმა კაცმა, ქალმა და ბავშვმა შინ განუტევა სული!

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი ო).

ხელთ-ნაწერი სახარება, რომლის ორი პირველი ფურცელი ტყავის და დანაშთენი სქელი ქაღალდი (№ 488, in 16°, ფურც. 313).

ხელთ-ნაწერი კუთვნილება ქვემოს ტაძრისა, რომელიც ბორჩალოს მაზრაშია. იგი მუზეუმში შესანახად გადმოსცა დეკან. ზაქარია გელიშვილმა 29 ოქტომბერს 1899 წელს.

ყდა სახარებისა: ფიცარია, ფიცარზედ გადაკრულია ტყავი (ქვემო მხრიდგან თავთაა) და მერე მთლიანი ვერცხლის ფურცელი. ამ ფურცელზედ გამოყვანილია: ზემო მხრიდგან მაკურთხებელი ქრისტე სფეროთი, ხოლო ქვემო მხრიდგან ჯვარცმა ქრისტესი. ძირიც მთლიანი ვერცხლია, დაჭრელებული გარაკულაკებით და ყვავილებით. ვერცხლის პირებზედ აწერია მხედრულად:

ზემო პირზედ:

ქ:. შევამკე. სახარება. ესე. ღენერალ. მაიორის. ჯამბაკურ. ორბელიანის. თამაზას. მეუღლემან. ქობულოვის. დავითის. ასულმან. კნეინა. ქეთევან. სულთა. ჩუენთა. (ქვემო პირზედ):

მეოხად. შვილთა. და შვილის. შვილთა. სადღეგრძელოდ. ჩყმა. წელსა (:1841 წ.)

ტექსტი ორ სვეტად დაწერილია ხუცურ ნუსხურად. სვეტები ფერადის ხაზებითა და დიდის ხელოვნებით გამოყვანილია კარების მსგავსად. კარების ზემო ნაწილი ოქროს მელნით გამშვენებულია საუცხოვო ყვავილებითა და ფოთლებით. ამგვარადვე დიდებულად და დიდის ხელოვნებით დახატულია საუფლო სურათები: ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, ფეხის ბანა (საიდუმლო სერობისა),

დატყვევება, ჯვარცმა, გარდამოხსნა, აღდგომა, ამაღლება, სული წმ. მოფენა და კიდევ ორი სხვა სურათი. ამას გარდა თვით კანონების ჩარჩოებიც მრავალ ნაირად, მრავალ ფერად და თვალწარმტაცად დახატულია. ყვავილები, ფრინველები (ფარშევანგი, ხოხბები და სხ.), ცხოველები (ლომები), ჭურჭლები (ბადია და სხ.), ხეები, ხლართულები და სხ. და სხ. გასაშტერებლის ხელოვნებითა და სიმშვენით აღსრულებულია. ასევე ხელოვნურად წარმოდგენილია მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე.

წერილის ხელი წვრილია, ყველგან თანაბარი და მეტად ჩინებული.

(გვ. 273): ქრისტე შეიწყალე ცოდვილი იესე ამინ.

...შეწევნითა ამათითა (ჩამოთვლილია წმიდანები) ჩვენ ბაგრატიანი ორბელი შვილმან პატრონმან მოლარეთ უხუცესმან ასლან და თანა მეცხედრემან ჩვენმან დიასამიძის ასულმან თამარ:. ვიგულეთ და ვიგულს მოდგინეთ და კელვყვით წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი: ოთხთავი: აღწერად შემკობად და განსრულებად: დღეთა ჩვენთა ძეთაჲ და ასულთა ჩვენთა წარსამართებელად და ცოდვათაჲ ჩვენთა შესანდობლად შეიწირე შენ ჩვენო მცველო და მფარვე (?) და მეოხო და შესავედრებელო... (ორი სიტყვა წაბღალულია) ღუთის მშობელო კნინი ესე და მცირე შესაწირავი რათა მეოხ გუექმნე დღესა მას დიდსა განკითხვისსა მორდვასა ძისა შენისაჲ. ვინცა ესე ჩვენგან ნაღვაწი წმიდაჲ ესე სახარებაჲ გამოგწიროს და გამოგახუას ჩვენთამცა ცოდვათათჳს იგი განკითხჳს დღესა მას დიდსა განკითხვსსა დიდმან ანუ მცირემან პასუხი ქრისტეს მეუფეს მან მისცეს:. ხოლო თქვენ წმიდანო მამანო ლოცვასა ჰყოფდით ჩვენ ცოდვილთათვის. ლოცვა ყავით და ვინცა შენდობით მოგვკსენოთ თქვენცა მოგიკსენოს უფალმან:. ამინ:.

ამის შემდეგ დაწერილია კრეული „ზანდუკი“ (გვ. 274—310) და მერე:

მამანო წმიდანო. ვისსაცა კელსა მოიწიოს. წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლოცვა ყავთ ჩემ ცოდვილისა იესესთჳს. უცებად ჩხრეკისათჳს შემინდვეთ. მერმე სიმართლისა საძიებელთა სიკეთისათჳს არა რაჲ აკლს. თუ მეცნიერ ხარ სათუალავისა. ვითაჲ განთჳსული სახარებაჲ იტყჳს ესეცა კელთა მოგცემს ყოველსავე:.

დიდებაჲ ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა:. აღიწერა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი: ჩემ ცოდვილისა და ყოველთაჲ უნარჩევესის: ბედის მწერლის შვლის იესეს მღდელისათა: სახითაჲ მღდელისათა: ხოლო საქმითა მგელ მტაცებლისათა. უწყის ღმერთმან სიმართლესა და ყოვლის სიკეთეს ვეცადე. მაგრა ქაღალდი დოვლათაბადი (?) იყო და მელანი არ გაიწყო. მაგრამე რაჲ ძალ მედვა ცდა არ დავაკელ კელისა. უცებად ჩხრეკისათვის ნუ მწყევთ ღუთისათჳს. გევედრები. ვინცა შენდობაჲ ბრძანოთ ჩემ ცოდვილისათჳს, თქვენცა შეგინდნეს ღმერთმან ცოდვანი თქვენნი: ამინ და კირიელეისონ:.

სრულ იქმნა და აღიწერა წიგნი ესე: დასაბამითგან შვდი ათას ას სამოც და ერთსა:. ქკ˜სა:. ტჲა: (=1673 წ.): თვესა იანვარსა. კზ: დღესა: ბ.

(გვ. 311 იმავე ხელით): ადიდნეს ღმერთმან კელმწიფე მეფე შაჰნავაზ რომელმან შეწევნითა ღუთისაჲთა და მკლავითა თჳსითა დიპყრა მეფობაჲ ყოვლისა საქართველოსაჲ. ძე მათი პატრონი არჩილ კახეთის პატრონი: მას ჟამსა ოჲეს ჯ˜და (ჯვარმაკურთხეველობდა?) ბატონი შვლი კათალიკოზი ბატონი დომენტი:

თავგარდასავალი შაჰნავაზისა (ვახტანგ V-სა), არჩილისა და კზ-ის დომენტისა იხ. ჩვენს საქართველოს „ისტორიაში“.

ვფიქრობთ, რომ ზემოდ აღნიშნული სურათ-ხატები, საოცრის ხელოვნებით შესრულებულნი, მე-XVII საუკუნეს არ უნდა ეკუთვნოდნენ, რადგან ამ დროს ქართული ხელოვნება ფრიად დაქვეითებულ იყო, და ასეთი ფერადებიც არ აცოდნენ ამ ხანს. შესაძლებელია, იგი სურათ-ხატები მველის წიგნიდგან გადმოიტანეს ამ სახარებაში, თუმცა-და ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ჩვენს ხელ-ნაწერში (სხვა-და სხვა ადგილას) თვით გადამწერის ხელით (და იმავე ერთგვარ ფერადებით) შესრულებულია მრავალი სურათ-ხატი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სახარება მეტად დიდ განძად უნდა ჩაითვალოს ქართულ ხელოვნების შესასწავლად.

მ. ჯანაშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი

**პეტერბურგი.** 22 მარტს მათნი უდიდებულესობანი იუნკრის სასწავლებელში ბრძანდებოდნენ.

**ბლუმფონტეინი.** კოლვილის დივიზია და ფრენჩის კავალერია აქ დაბრუნდნენ. წყლის მილის დაქცევა დიდი დასაკლისი იქმნება — მაშინ ფრთხილად უნდა მოვექცეთ წყალს და საბანაოდ ცოტა ვიხმაროთ; სასმელი წყალი-კი საკმაოა.

**ლონდონი.** „Times“-ს ლორენცო-მარკეზიდგან ატყობინებენ, რომ როგორც ისმის ხუთშაბათს რანდის ყველა მადნები ტრანსვაალში გაუქმებულ იქმნა. იქ მყოფი ინგლისელი მუშები, აგრეთვე სხვა ინგლისელნი, რესპუბლიკის სხვა ნაწილებში იქმნენ გაგზავნილი.

იმავე გაზეთს ბლუმფონტენიდგან დეპეშით ატყობინებენ: „მტრის ყოველივე მოქმედება ჰმოწმობს, რომ საქმეს მხნედ მოჰკიდეს ხელი. როგორცა სჩანს, ორანჟის რესპუბლიკის ჩრდილოეთით ბურები შეერთებულან; იმათი ჯარი იქ ეხლა ძლიერია. ოლივიემ, რომელმაც ხელ-ახლა აღმოსავლეთისაკენ გასწია და დაიჭირა ლედი-ბრანდი, შემდეგ მიიშველია სხვა ჯარი და დაიპყრო ტაბანგუ, დიდი სტრატეგიული ცოდნა და უნარი გამოიჩინა, რადგანაც მოხერხებით ისარგებლა მოწინააღმდეგის ერთის სუსტის მხარით. ეს საქმე სანანურია უფრო იმიტომ, რომ რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ვერ დავიცევით ის ფერმერები, რომელთაც უკვე იარაღი დაჰყარეს“.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდგან, რომ იმ რაზმში, რომელსაც ზარბაზნების გასტუმრების დროს კორნსპრუიტში მტერი უნდა მოეგერებინა, როგორცა სჩანს, არა ყოფილა არც ერთი ისეთი კაცი, რომლისთვისაც შესაძლებელი ყოფილიყო მიენდოთ ადგილის დაზვერა. ცხენოსანნი მშვიდობიანად მიდიოდნენ და მაშინ შენიშნეს, რომ ყველაფერი კარგად არ იყო, როდესაც ბურებმა ზარბაზნები წაიღეს.

21 მარტს მილნერი კაპშტადტში წავიდა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა გედდერვიკის წინადადების განხილვას შეუდგა. გედდერვიკი საჭიროდ სცნობს ახალშენებმა წარმომადგენელნი იყოლიონ პარლამენტში. ჩემბერლენმა სთქვა, რომ ასეთი სურვილი თვით ახალშენებმა უნდა განაცხადონო. ასეთი წინადადება ჯერ არც ერთს ახალშენს არ შემოუტანია; ამიტომ მაგ საქმის განხილვა, თუნდაც რომ ძლიერ სასურველი იყოს, ადრეულია და შეიძლება საქმესაც ავნოს. ახალშენები არასოდეს არ იზამენ, რომ პარლამენტში წარმომადგენლობის გულისთვის ხელი აიღონ დამოუკიდებლობაზედ, ინგლისისთვის სამხედრო სამსახური გასწიონ და ინგლისის გარდასახადი იხადონ. მეორეს მხრით კენჭის ყრის დროს პარლამენტში ახალშენები პირველობას ჩაიგდებენ“. წინადადება უკანვე იქმნა წაღებული.

**ვენა.** აქ მოვიდა ბოლგარიის მთავარი.

**სოფია.** მთავარის პროკლამაციაში, რომლითაც მინისტრთა საბჭოს რეგენტობა მიენდო, ნათქვამია, რომ მთავარი საზღვარ გარეთ მიდისო. როგორც გაზეთი „ნაროდნია პრავა“ იუწყება, მთავარი სანტ-რემოში მიდის თავისს ოჯახობის სანახავად.

**ლისაბონი.** დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ინგლისმა ითხოვა იმის ჯარს ნება მიეცეს რკინის გზით პორტუგალიის ტერიტორიაზედ გაიაროს ბეირისა და უმტალს შუა; პორტუგალიამ თანხმობა განაცხადა, რომ ინგლისმა ისარგებლოს იმ უფლებებით, რომელსაც ანიჭებს მას დადებული ხელშეკრულებანი. აწინდელი ომი არ აუქმებს ამ ომამდე დადებულ ხელშეკრულობებს. პორტუგალიამ თავისი გადაწყვეტილება ტრანსვაალის მთავრობას შეატყობინა. მინისტრმა დასასრულ განაცხადა, რომ ინგლისთან საუკეთესო განწყობილება გვაქვსო. ღმერთმა ჰქნას, რომ შემდეგშიაც ასეთივე განწყობილება გვქონოდესო.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა კაპშტადტიდგან. ეს დეპეშა იუწყება, რომ ის გემი, რომელზედაც გენერალი კრონიე, პოლკოვნიკი ბილლი და 1,000 ტყვე ბურია, უკვე წავიდა წმ. ელენეს კუნძულზედაო.

23 მარტი

**ბრიუსელი.** როდესაც უელსის პრინცი რკინის გზის აქაურს სადგურზედ მოვიდა, ვიღაც უცნობმა კაცმა რევოლვერი ესროლა. პრინცი უვნებელი გადარჩა. დამნაშავე შეიპყრეს.

**პრეტორია.** 20 მარტს მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ბრიტანიის ქვეშევრდომნი, იოჰანესბურგსა ბოკბურგსა და კრიუგერსდორპში მცხოვრებნი, 4 საათის განმავლობაში გავიდნენ ტრანსვაალიდგან. დანარჩენნი ცოლ-შვილის პატრონნი კიდევ 23 მარტამდე გაკიდნენ. ეს განკარგულება არ ეხება ინგლისის იმ ქვეშევრდომებს, რომელნიც სახელმწიფო მადნებში მსახურებენ.

**დუბლინი.** დედოფალი მოვიდა. ქალაქს გარეთ დედოფალს მიეგება ქალაქის ლორდ-მერი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა. დედოფალმა სთქვა, რომ ჩემთვის დიდად სასიამოვნოა იმ ვაჟკაცთა სამშობლოში მოსვლა, რომელთაც სიმამაცე გამოიჩინეს იმპერიის დაცვის დროსაო. დედოფალს ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

**სპრინგფონტეინი.** საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სპრინგფონტენსა და ბლუმფონტენს შუა რკინის გზის მახლობლად მტრის მრავალი ჯარი იკრიბება. გენერალი გატეკრი ეშმადება წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს თუ მან განიზრახა რობერტსს გზა შეუკრას.

**პარიჟი.** ნაშუადღევს ლიუბერსაკსა და ეფრუსის შორის დუელი მოხდა. ორივე მოწინააღმდეგე დაიჭრა: ლიუბერსაკი—კისერში, ეფრუსი—ფერდში. დუელი პოლემიკის გამო მოხდა. პოლემიკა დუელის პროექტის გამო ჰქონდათ ლიუბერსაკსა და რობერტ-როტშილდს.

**ბრიუსელი.** პრინცი უელსისა ოსტენდედგან კი არა, კალედგან მოვიდა და იმ მატარებელში იყო, რომელიც კელნში უნდა წასულიყო. ბოროტ მოქმედი ვაგონის საფეხურზედ დადგა და იქიდგან ორჯელ ესროლა სალონ-ვაგონის დახურულ ფანჯარას. პრინცის გვერდით იმისი მეუღლე იყო, იქვე იდგა მისი მხლებელი. ბოროტ-მომქმედი მაშინვე დააპატიმრა პოლიციის ბოქაულმა, ხოლო გზის უფროსმა ინსპექტორმა ჩვენება ჩამოართვა. მსროლელი აღმოჩნდა 16 წლის მეთუნუქე, რომელსაც სპიდო ეწოდება; უცხოვრია სან-ჟილეიში, de la Norde-ს ქუჩაზედ ბრიუსელის უბანში. ჯიბეში მრავალი ანარქისტული ქაღალდები აღმოაჩნდა. მან განაცხადა, რომ პრინცის მოკვლა მქონდა განზრახულიო. არავითარს სინანულს არა ვგრძნობ და მზად ვარ კვლავ შევეცადო იმის მოკვლას, შესაძლებელი რომ იყოსო. ბრალმდებელი დაუყოვნებლივ მოვიდა იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, რათა ჩვენება ჩამოერთვა დაპატიმრებულისათვის, რომელიც დროებით ჩრდილოეთ რკინის გზის პოლიციის ბიუროში იმყოფებოდა.

**ბრიუსელი.** უელსის პრინცი მოვიდა საგანგებო მატარებლით კალედგან 4 ს. 15 წ. და ნახევარ საათის განმავლობაში რკინის გზის სადგური უმთავრესს დარბაზში დადიოდა. თან ახლა ორი მცველი. შემდეგ 5 ს. 15 წ. წავიდა კელნს. როდესაც რევოლვერის სროლის ხმა გაისმა, მატარებელი დაუყოვნებლივ შეაჩერეს. ხალხში ძლიერი აღელვება გავრცელდა. გამოარკვიეს, რომ არც პრინცი და არც სხვა ვინმე არ იყო დაჭრილი. ორის სროლის ხმაზედ რიკნის გზის სადგურის უფროსი გამოვარდა და ბოროტ მომქმედს ხელზედ დაჰკრა, ვიდრე იგი მესამედ მოასწრებდა სროლას. ორივენი შეებრძოლნენ ერთმანეთს. ბოროტ-მომქმედი ხელიდგან ეშვებოდა და უნდოდა თავი განეთავისუფლებინა. რამდენიმე კაცი მიეშველა სადგურის უფროსს, იარაღი წაართვეს და შეჰბოჭეს. პრინცი ორჯელ გამოჩნდა ფანჯარასთან და იკითხა, დაპატიმრებულია თუ არა ბოროტ-მომქმედიო? უპასუხეს, რომ დაპატიმრებულიაო. ერთი მოწმე ამბობს, რომ აშკარადა სჩანს, ადრევე ჰქონია ბოროტ მომქმედს პრინცის მოკვლა განზრახულიო; გამოირკვიეს ისიც, რომ სპიდოს ბილეთი აუღია ბაქანზედ გასვლისა და უსეირნია სწორედ იმ დროს, როდესაც უელსის პრინცი ყოფილა იქ. მისი რევოლვერი უვარგისია, ექვს-ლულიანი; შიგ ერთი ტყვია კიდევ აღმოჩნდა; ორი ტყვია არ გავარდნია.

**ბერლინი.** რუსეთის საელჩოში სადილი იქმნა გამართული, რომელსაც დაესწრო იმპერატორი. სადილზედ იყვნენ აგრეთვე იმპერიის კანცლერი, სტატს-სეკრეტარი ფონ-ბიულოვი, კაბინეტთა სამი უფროსი—გენერალი განკე, ლუკანუსი და ადმირალი სენდენი, ობერ გოფმარშალი გრაფი ეილენბურგი, საელჩოთა წევრნი, გრაფინია ოსტენ საკენი, კნეინა ენგალიჩევისა და სხვანი.

**პარიჟი.** სენატი ლეკონტმა წინადადება შეიტანა, რომელშიაც თხოულობს გუშინდელი სიტყვა დელკასსესი გაკრულ იქმნას ქუჩებში. მემარცხენენი ტაშის-ცემით მიეგებნენ. ზოგმა მემარჯვენეთაგანმა წინაღმდეგობა განაცხადა. სენატმა წინადადება შეიწყნარა 189 ხმის უმრავლესობით 39 ხმის წინააღმდეგ. ხვალ განაგრძობენ ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვას.

## შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო 4 მან. 90 კაპ. ყარამან ნანეიშვილის მიერ შეკრებილი. შემოწირულთა სია: ივანე იოსელიანმა—50 კაპ., შალვა კორძაიამ—1 მ., ბ. ნანეიშვილმა—50 კ., ა. ნანეიშვილმა—50 კ., ენგელმა—50 კ., ტომაშევსკიმ—10 კ., პაპოვმა 15 კ., ი. კიპრიზოვმა—20 კ., არ. ნადირაძემ—50 კ., ალ. დავითაძემ—50 კ., ა. მიქელაძემ—20 კ. და ივ. ჭიშვილმა—25 კ.

დღემდე რედაქციას მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მიღებული ჰქონდა სულ 731 მანეთი 25 კაპ. ამიანად შესდგება 736 მან. 85 კ.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 28 მარტს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება

**საჯარო ვა[illegible]ობა,**

რომელზედაც იჯარით [illegible]ცემა ჯირგინის მილის გამართვის საქმე ოლგას ქუჩიდგან იმ ონკანამდე, რომელიც კირპიჩნის ქუჩაზეა, სიგრძით 200 საჟენი, ღირებულობით 5000 მანეთამდე.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—1)

**ძმათა თავართქილაძეების** წიგნის მაღაზიებმა—ბათომსა, ოზურგეთსა და ახალ-სენაკში მიიღეს პასხალიდის ბერტეს და სხვ. ფირმების, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებული,

**აბრეშუმის თესლი.**

ფასები თითო ყუთისა (6—7 მისხალი) 1 მ. 60 კ. დაწყებული 2 მ. ბ 20 კაპეიკამდე. (5—6.—1)